

ცენტრალური გზა


3 545
საპროექტო ლობე
385
385
385
40
72
9,36 ∂²
105
122
470
15
1440
3 205
ა
დ

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
15.08.2016	15.08.2016

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ინტერლაბი 404877077
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1426233
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1426233

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, მირიან მეფის ქ. #11ა-ს მიმდებარედ, საყრდენი კედლის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, არსებული ღობისთვის გამოყენებული თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში, საკითხის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით (I კლასის სანებართვო).
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება



გამოსაყენებული ტერიტორია. ფართობი: 3 კვმ.

№ OG16-37814 D 21.07.2016

შპს ,,ინტერლაბის“ დირექტორს
ბატონ ზურაბ მაისურაძეს
მის. მირიან მეფის ქ. №11ა
ტელ.593 12 83 12

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN16-34720 დათარიღებული 06.07.16 წ. მირიან მეფის ქუჩა №11ა -ს მიმდებარედ მცირე ზომის საყრდენი კედლების მოწყობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული მისამართის მიმდებარედ მიმდებარედ გაედინება საკომუნიკაციო გვირაბი, სადაც განთავსებულია კომპანიის ბალანსზე რიცხული ორი დ=900 მმ და ორი დ=600 წყალსადენის მაგისტრალური ქსელები, რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს სამშენებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებული წყალსადენის სანიტარული ზოლის მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს ყოველგვარი შენობა-ნაგებობის წითელი ხაზების დაშორებას წყალსადენის ქსელებიდან არანაკლებ 10 მეტრს ორივე მხრიდან. სანიტარული ზოლი ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი სახის მშენებლობა, შემოღობვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება. ქსელების დაზიანების შემთხვევაში სანიტარულ ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობებს შესაძლებელია მიადგეს ზიანი, რაზედაც კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.ასევე ქსელის შესაძლო დაზიანების დროს კომპანიის წარმომადგენლებს უნდა მიეცეს დღე-ღამის ნებისმიერ დროს ტერიტორიაზე შესვლის უფლება, სპეცტექნიკის გამოყენებით საჭირო სამუშაოების ჩასტარებლად.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე შესაძლოა გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული ქსელები, რომლის შესახებ ინფორმაციას კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ არ ფლობს.

მამუკა კიკალიშვილი

დირექტორი ოპერაციების მართვის დარგში

შემს. მ. ლოლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-69686/07 11 11 2015წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), მირიან მეფის ქ. №11ა-ში, (საკ. კოდი: №01.10.06.014.096) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე და დამხმარე (სასაწყობე)შენობა ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

დამკვეთი – შპს „ინტერლაბი" ზურაბ მაისურაძე
პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1612548 12.12.2014წ.
განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დასკვნა: №2209203 28.09.2015წ. (AR1343664)

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 740.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 204.33
- საერთო ფართობი (კვ.მ).: 577.89
- საოფისე ფართობი (კვ.მ).: 133.74
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 5.1
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 41.51
- სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 305.54
- დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 92.0
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2370.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1634.4
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 735.6

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, საქ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 20.06.06წ. №115 დადგენილების მე-2 მუხლის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), მირიან მეფის ქ. №11ა-ში (საკ. კოდი: №01.10.06.014.096) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (საოფისე და დამხმარე (სასაწყობე)შენობა ნაგებობა).

2) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №69686/07 04.11.2015წ განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**